დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №38
2025 წლის 24 დეკემბერი
ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2^1 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N3 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 23/01/2018, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016301).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა ყულიაშვილი

დანართი

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	6560	4,1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4960	3,1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4320	2,7
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3520	2,2
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	3200	2
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	2560	1,6

საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

საკრებულოს აპარატი					
№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	--	1	4640	2.9
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2720	1.7
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2720	1.7
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება					
1	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	II	1	3680	2.3
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2720	1.7